ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 525

"4" ოქტომბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.017.020) პირდაპირი განკარგვის წესით ჯინ შენისთვის (C/№: EH9504384) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.017.020) პირდაპირი განკარგვის წესით ჯინ შენისთვის (C/№: EH9504384) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 სექტემბრის №24.1602.1808 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №37-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.017.020) პირდაპირი განკარგვის წესით ჯინ შენისთვის (C/№: EH9504384) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 288 (ორას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე